საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/6

ქ.თბილისი

"30" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დოკუმენტაციის საარქივოდ მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია") საქმიანობის პროცესში შექმნილი მმართველობითი, მათ შორის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დრეობით შენახვის, აღრიცხვის, პრაქტიკული გამოყენებისა და მუდმივი, სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემად მომზადების მიზნით, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის არქივის დებულებისა" და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის დებულების" დამტკიცებისა და კომისიის 2001 წლის 6 ნოემბრის N469/11 და 2004 წლის 22 ოქტომბრის N559/22 გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" კომისიის 2012 წლის 27 ივლისის N501/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის არქივის დებულების" შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კომისიის აპარატში საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების მიღების, აღრიცხვისა და შენახვის ორგანიზება და მათზე პასუხისმგებლობა დაეკისროს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის საკანცელარიო და საოქმო საქმისწარმოების ჯგუფის უფროს ნ.ჯანელიძეს;
2. დაევალოს კომისიის აპარატის ყველა სტრუქტურულ ერთეულს საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის წესების დაცვა;
3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დოკუმენტაციის საარქივოდ მომზადებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2004 წლის 05 ივლისის N6/5 ბრძანება;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა) კონტროლი ბრძანების შესრულებაზე.

კომისიის თავმჯდომარე **ვ. აბაშიძე**